



ირანის ახალი
პრეზიდენტის
ოთხდღიანი
მმართველობა დაიწყო
A4



ბარიალმ
ბა-BAR-და
A6



გამარჯვებულს
წინასწარმეტყველების
ახალი, სენსაციური, თუმცა
სამეცნიერო მეთოდით
A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

სამთავრობო, 4 აპრილი, 2005 წელი, №176 (1036)

ფასი 50 თეთრი

ახვები

ნიმუ ბურჯანაძემ
ფინეთის
საქართველოს
პრობლემატიკაზე
"ბადმორტი"

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე,
საპარლამენტო დელეგაციასთან
ერთად, სამუშაო ვიზიტით პელსინკი
იმყოფებოდა, სადაც ფინეთის
ხელისუფლების წარმომადგენლებს
შეხვდა.

A2

ახვები

ჰესების
რეაბილიტაცია
ფარდება

იაპონური კრედიტი
"ლაჯანაძისთვის" შექმნილი
მონაცემების ნაწილი შეიძლება
გადასაყრდელი გახდეს.
პრობლემატიკა "ზრამპის-1"-ის
რეაბილიტაციის პროცესის
ირგვლივაც.

A3

ახვები

უცხო ენების
ტექნიკური
გამოცდების
წინასწარი შედეგები
შეჯამდა

მიუხედავად იმისა, რომ სრული
სტატისტიკური მონაცემები სამ უცხო
ენაში ჯერ არ არის, არსებული
მიხედვით ცხადია, რომ განსწავლბა
რეგიონული და თბილისის სკოლის
კურსდამთავრებულთა ცოდნის
დონეებს შორის - რეგიონებში უცხო
ენის სწავლება "აქტიურობის ქუსლია".

A3

უცხოეთი

"დემოკრატიული
ექსპანსია"
გრძელდება

აშშ აზერბაიჯანსა და ყირგიზეთში
"დემოკრატიის საინფორმაციო
ცენტრებს" ხსნის. ამჟამინდელ
განხორციელებულ დამოუკიდებელი
მედიის მხარდამჭერი პროექტები
ყაზახეთში. გარდა ამისა, სახელმწიფო
დეპარტამენტი ტაჯიკეთში ხუთ
დამოუკიდებელ რადიოსადგურს
დაეხმარება.

A4

აინფი

	4/08	5/08
თბილისი	36	39
ტყიბული	32	36
სოხუმი	33	36
დვანისი	28	31
გორი	31	33
ონი	25	28
ზუბდიდი	36	40
ახმეტა	35	38
ბაბრა	31	32

უცხოური ვალუტის
ოფიციალური კურსი
ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8175
ევრო	2.2222
ბრიტანული სტერლინგი	3.2232
რუბლი	0.0636

ახვები	A 2
ახვები	A 3
ახვები	A 4
პროექტი	A 5
საორბი	A 6
რევი	A 7
სხვადასხვა	A 8

დღეს თბილისში შამბას ელოდება

დღეს თბილისში, გაეროს-
გენერალური მდიანის სპეცი-
ალური წარმომადგენლის ოფ-
ისში, კონფლიქტის ზონაში
უსაფრთხოების საკითხებზე
დაგეგმილ ქართულ-აფხაზურ
მოლაპარაკებებზე დევნილთა
დაბრუნების, საქართველოს
სახელაპკვეთრიაში გეგმბ-
ის უკანონო მოძრაობის პრო-
ბლემებზე და მათი გადაწყვე-
ტის გზებზე იმსჯელებენ.

როგორც გუშინ გამართ-
ულ მთავრობის სხდომაზე სა-
ხელმწიფო მინისტრმა კონფ-
ლიქტების დარეგულირების
საკითხებში გოგა ხინდრავამ
განაცხადა, აფხაზეთის დე-
ლეგაციას სოხუმის დე ფაქტო
ხელისუფლების საგარეო საქ-
მეთა მინისტრი სერგეი შამბა
უხელმძღვანელებს. დღევან-
ცაში შედის, ასევე, აფხაზეთ-
ის დე ფაქტო ხელისუფლების
თავდაცვის მინისტრის მოად-
გილე გარი კუპალა.

ბაზრკილაბა A2 ბაზრკილაბა



შამბა ტალიაინი: "მოლაპარაკებები შეტად კონკრეტულ საკითხებს შეეხება".

ასი წელი დანგრეული ეკონომიკისათვის

აფხაზეთის მთავრობის ეკონომიკური სტრატეგია საზოგადოებაში
სულ უფრო მეტ კრიტიკას იწვევს

ზურაბ აფხაზაძე
სოხუმიდან

აფხაზეთის 2006 წლის ბიუ-
ჯეტი დაახლოებით 22 მილიონი
დოლარი იქნება. ეს, ერთი მხრივ,
ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაზე
მეტყველებს, რამდენადაც ბიუ-
ჯეტში, მიმდინარე წელთან შე-
დარებით, დაახლოებით 40 პრო-
ცენტით მეტი თანხა შევა. მეორე
მხრივ, როგორც სკეპტიკოსები
ამბობენ, ბიუჯეტის ასეთი ზრდა
მინიმალურ შესაძლებლობებს
არ აღემატება. არსებობს ორი
არსებითი პრობლემა, რომლებ-
იც მანამდე ვერ გადაწყდება, ვიდრე
ახალი ეკონომიკური სტრატეგია
არ ამოქმედდება.

ბაზრკილაბა A2 ბაზრკილაბა



აფხაზეთის მთავარი სიმდიდრე მინა. რომელსაც შესაძლოა უცხოელები დაეპატრონონ.

აერობუსის პირველი მარცხი

კანადის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის ტორონტოს
საერთაშორისო აეროპორტში გუშინ სამგზავრო
თვითმფრინავმა, რომელიც პარიზი-ტორონტოს რეისს
ასრულებდა, კატასტროფა განიცადა.
თვითმფრინავში მყოფი 309 ადამიანი სიკვდილს
სასწაულით გადაურჩა.

ტორონტოს აეროპორტ
"პირსონ"-ში მომხდარი ინცი-
დენტი, როცა სამგზავრო ავი-
ლაინერი დაშვებისას ასაფრე-
ნი ზოლიდან გადავიდა და ცე-
ცხლი გაუჩნდა, აერობუსს

A340-ის პირველი სერიოზული
ავარიაა. ამის შესახებ ავიაკომ-
პანია Airbus-ის პრესმდივანმა
ბარბარა კრასკამ განაცხადა.

ბაზრკილაბა A4 ბაზრკილაბა



ტორონტოს აეროპორტში დამსხვრეულ თვითმფრინავში მყოფი 309 ადამიანი სასწაულით გადაურჩა სიკვდილს

საქართველო განათლების სისტემაში რადიკალურ ცვლილებებს ახორციელებს

ნათალია ანთოლოვა
BBC WORLD SERVICE

რეფორმამ, რომელიც
საქართველოს განათლების
სისტემის კორუფციისგან
გათავისუფლებას ისახავს
მიზნად, დიდი წინააღმდეგობა
გამოიწვია ყოფილ საბჭოთა
რესპუბლიკაში.

წელს, როცა ათასობით ქარ-
ველი უფროსკლასელი უნივერსი-
ტეტში მისაღები გამოცდებისთე-
ის ემზადებოდა, ბევრს ძველი საბ-
ჭოთა ანეკდოტი გაახსენდა კაც-
ზე, რომელიც უნივერსიტეტის
პროფესორთან მივიდა. "ჩემს ვაჟს
შენთან გამოცდა აქვს სვალ, მაგრ-
ამ ცუდად არის მომზადებული, -
ეუბნება პროფესორს, - ვშიშობ ჩა-
იფრება". პროფესორი კი დაუფიქ-
რებლად მიუგება: "500 დოლარზე
დაგენაძელები, რომ ჩააბარებს."

კავკასიის ამ რესპუბლიკაში
ბევრი იმედოვნებს, რომ ასეთი ან-
ეკდოტი ცოტა ხანში წარსულის
სიმბოლოდ დარჩება.

საქართველოს ახალი ერთიანი
ეროვნული გამოცდები, რომელიც

ამერიკული SAT-ის (Standardized
Admission Tests - სტანდარტიზე-
ბული მისაღები გამოცდები)
მსგავსია, ქვეყანაში ფართოდ გა-
ვრცელებული კორუფციული სის-
ტემის დასაძლევად შეიქმნა.

"მოკი"
სტუდენტებისათვის

საბჭოთა დროიდან მოყოლე-
ბული, საქართველოს უმაღლესი
სასწავლებლები გამოცდების ად-
მინისტრირებასა და შეფასებას
თავად უზრუნველყოფდნენ.

ოფიციალური პირების გან-
ცხადებით, აბიტურიენტების
მშობლები ყოველწლიურად,
ქრთამის სახით, დაახლოებით 30
მლნ დოლარს იხდიდნენ. ეს თანხა
ბევრად აღემატება ქვეყნის საგა-
მანათლებლო ბიუჯეტს.

"ვარდების რევოლუციის" შე-
დედ, რომელსაც პრეზიდენტ შე-
ვარდნაძის გადადგომა მოჰყვა,
რამდენიმე თვეში სტუდენტებს
გამოუცხადეს, რომ ისინი ახალი,
ერთიანი ეროვნული გამოცდის-
ათვის უნდა მომზადებულყვნენ.

ბაზრკილაბა A3 ბაზრკილაბა

პრივატიზაციის წესი არ შეიცვლება

თამარ ივანიძე

საქართველოს მთავრობაში
საპრივატიზაციო თემაზე ერთი
კვირის წინ დაწყებული დამირის-
პირება გუშინ დროებითი ზავით
დამთავრდა. კერძოდ, გუშინ მთა-
ვრობის სხდომის დასრულების
ამბობენ, ბიუჯეტის ასეთი ზრდა
მინიმალურ შესაძლებლობებს
არ აღემატება. არსებობს ორი
არსებითი პრობლემა, რომლებ-
იც მანამდე ვერ გადაწყდება, ვიდრე
ახალი ეკონომიკური სტრატეგია
არ ამოქმედდება.

როგორც ეკონომიკური განვი-
თარების მინისტრმა ირაკლი ჩო-
გოვაძემ მთავრობის სხდომის შე-
დედ ჟურნალისტებს განუცხადა,
საქართველოს კონს-
ტიტუციას არ წინააღმდეგება
და, შესაბამისად, მისი გაუქმებაც
არ მოხდება. "შესაძლოა, ის დაი-
ხვეწოს, თუმცა მანამდე სახელ-
მწიფო ქონების კონკურსის წეს-

ით გაყიდვა ამ დებულების მიხე-
დით მოხდება," - განაცხადა ჩო-
გოვაძემ.

შეგახსენებთ, რომ იუსტიციის
მინისტრმა კოტე კეულარიაშვილმა
სულ ოთხშაბათს მთავრობის
სხდომაზე ეკონომიკური განვი-
თარების მამინდელი მინისტრის,
კახა ბენდუქიძის 2004 წლის 19
ოქტომბრის "სახელმწიფო ქონე-
ბის კონკურსის ფორმით პრივატი-
ზაციის შესახებ დებულების" ძალა-
დაკარგულად გამოცხადება მოი-
თხოვა და ამის არგუმენტად მისი
კონსტიტუციასთან და პრივატი-
ზაციის შესახებ კანონთან შეუსა-
ბამობა მოიყვანა. კეულარიას ინ-
იციატივის შესაბამისად, ეკონო-
მიკური განვითარების სამინისტროს
ერთი კვირის ვადაში მთა-
ვრობის სხდომაზე დებულების ახ-
ალი რედაქციით და შენიშვნების
გათვალისწინებით წარდგენა და-
ევალა.

ბაზრკილაბა A3 ბაზრკილაბა

მოულოდნელი ცვლილება რუსთავის მერიამ

აპირებს თუ არა ხელისუფლება
ტყველამშვილის ნადაშვილით შეცვლას

მანია მოსიაშვილი

რუსთავის მერიამ მოულოდ-
ნელი საკადრო ცვლილება განხი-
რციელდა - გარდაბნის რაიონის
გამგებელი დავით ნადაშვილი
რუსთავის მერის პირველ მოად-
გილედ გადაიყვანეს. როგორც
რუსთავის მერიის აპარატში
აცხადებენ, დღემდე პირველი მო-
ადგილის თანამდებობაზე მყოფი
ზაზა იმედაშვილი ერთი საფეხუ-
რით დაბლა ჩამოიწვია და ჩვეუ-
ლებრივ მოადგილის სტატუსს
დასჯერდება.

დავით ნადაშვილი ახალი ხე-
ლისუფლების კადრი და ქვემო ქა-
რთლში პრეზიდენტის რწმუნებუ-
ლის ზურაბ მელიქიშვილის აშკა-
რა ფავორიტია. მელიქიშვილი მუ-
დამ ხაზს უსვამდა იმას, რომ ნა-
დაშვილის მუშაობის შედეგად გა-
რდაბანი ცენტრალური ბიუჯეტ-
ის ტრანსფერიდან მოიხსნა და
რაიონის ბიუჯეტი ერთი მესამედ-
ით გაიზარდა. ნადაშვილის პოსტ-
რევილუციური კარიერაში ბოლო
გადადგინება რიგით მესამეა.
2003 წლის დეკემბერში ის ჯერ
ქვემო ქართლში პრეზიდენტის
რწმუნებულის პირველ მოადგილ-
ედ დაინიშნა, სამთავრობო მუშაო-

ის შემდეგ კი გარდაბნის გამგე-
ბლის მოვალეობის შემსრულებლ-
ად გადაიყვანეს.

ბათუმში პრეზიდენტის რწმუ-
ნებულების შეკრების შემდეგ, სა-
დაც ნადაშვილმა პრეზიდენტ საა-
კაშვილისგან პერსონალური მად-
ლობა მიიღო, ბევრი ვარაუდობ-
და, რომ მისი თანამდებობრივი
დანიშნაულება გარდგეგმილი იყო.
ამავე დროიდან გავრცელდა კუ-
ლუარული ინფორმაცია, რომ ნა-
დაშვილს რუსთავის მერობისთე-
ის ამზადებდნენ.

"24 საათი" რუსთავის მერის მე-
რად ტყველამშვილს დაუკავშირ-
და, რომელმაც მის უწყებაში გან-
ხორციელებულ საკადრო ცვლი-
ლებას წინ გადადგმული ნაბიჯი
უნოდა.

"დავით ნადაშვილს ეკონო-
მიკური კუთხით მუშაობის დიდი
გამოცდილება აქვს. ეს დადას-
ტურდა კიდევ მისი გარდაბნის
მუშაობის დროს. რუსთავის ის
ეკონომიკას ჩაიბარებს. დარწ-
მუნებული ვარ, რომ მისი გამო-
ცდილება ამ კუთხით ძალიან გა-
მოგვადგება და ერთად ბევრს
მივაღწევთ," - განაცხადა ტყვე-
ლამშვილმა.

ბაზრკილაბა A3 ბაზრკილაბა

პროექტი - ბიორა სერია

ახალი ხელთათმანი კონსერვატორებს

თამარ ბაბუაძე

1977 წელს პარიზი დიდმა გენ-ბათალეგამ მოიცვა - ქალაქის შუაგულში მიღებული შენობა გაჩნდა და ქალაქის ლანდშაფტში თანამედროვე ხელოვნების სახე-ლით ჩაჯდა. ვენბათალეგის ავტორები გაცხარებით ამტკიცებდნენ - ჩვენს ქალაქს არ აქვს ნავთობი, მაგრამ აქვს ნავთობსახე-დელი. შემდეგ გავიდა ნლები და პარიზმა პომპიდუს ცენტრით თავმოწონებაც დაიწყო, იქ გამართულ გამოფენებზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა, სალაროსთან განვლილი გრძელი რიგები კი დღემდე ვერ იტყვას სიძველეებისადმი ფობიით შეპყრობილ 21-ე საუკუნის ახალგაზრდებს, რომლებიც სტილში - პიათუქ მოდერნი - ისე გრძობენ თავს, როგორც თევზი წყალში. ეს მათი დროა და მათი თავისუფლება. მათი ანუ, იმ 6 მილიონი ადამიანის, როელიც პომპიდუს კარს ყოველწლიურად ადებს და მათიც, ვინც ამ კარის შეღებაზე შორიდან ოცნებობს.

ასე რომ, გამოდის - თავისუფლება თვითონ პომპიდუს ცენტრიც, აქედან გამომდინარე, ის მოდერნი დანერგულია. თუმცა, მოდერნიზმის მიუხედავად, შეიძლება 1977 წელი საფრანგეთში კიდევ ერთხელ განმეორდეს - ქალაქ მეცხრე ხომ იაპონელი არქიტექტორი შიგარუ ბენი პომპიდუს ფილიალს ააგებს, რომელიც "დედა-შენობას" უცნაურობით არაფრით ჩამოუვარდება. მისი მთავარი თანამედროვე ხიბლი სახურავი იქნება - ჩინელი გლეხის ქუდივით განვლილი და გრანდიოზული.

მეცხრე დიდი პრეზენტაცია 2008 წელს იგეგმება. იქ მთავარი პომპიდუდან მოძრავ ექსპონატებს წაიღებენ, ახუ დროდადრო აჩვენებენ გამოფენებს პარიზული მუზეუმის 56 ათასი ექსპონატისგან შემდგარი კოლექციიდან. პარიზშიც ხომ თითო გამოფენაზე მხოლოდ 1300 მანუშვერის გამოფენას ახერხებენ.

ლირიკული გადახვევა: გრანდიოზულ გაფართოებას ლუგურც გეგმავს. 2009 წელს ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქ ლანსი-ლუ-ვრის ფილიალი გაიხსნება.

ახლა ისევ პომპიდუს დაუბრუნდეთ და მიგერუ ბენი დაეახალათო.

"24 საათის" ერთგულ მკითხველს ეს სახელი აუცილებლად ემახსოვრება. დაახლოებით ერთი თვის წინ ჩვენ ვწერდით კაცზე, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა არქიტექტურას ადევნებს და გრანდიოზულ სამშენებლო პროექტებს მუყაოსგან აშენებს. ასეთი მუყაოს გალერეა - ძალიან შიამბეჭვადი, ძალიან სივრცული და ძალიან მინიმალისტური - მან ისი

მიაკისა აუშენა. იგივე მასალისგან ბენმა თურქეთის მინისტრით დაზარალებულ მოსახლეობასაც აუგო თავშესაფრები, ცხადია, ლეგალური გზის - გაეროს გავლით, მანამდე კი შრი ლანკელებსაც იგივე მეთოდით დაეხმარა.

ასე რომ, 42 წლის არქიტექტორი იაპონიაში ნამდვილი პიტია. თავის ფრანგულ პროექტს ის ჩინური შთაბრძნებით განახორციელებს - ბენისთვის მუზა ხომ კონსტანტინო ფომის ჩინური ქუდი გახდა. "ეს ქუდი ექვსი წლის წინ პარიზში, ჩინური ტანსაცმლის მაღაზიაში შევიძინე. მაშინ უკვე ვფიქრობდი სახურავის იდეებზე", - აცხადებს მიგერუ.

მეცხრე მუზეუმის სახურავი - ანუ ჩინელი გლეხის ქუდი მთელ საგალერეო სივრცეს, 10 ათას კვ.მ ფართს დაეხურება "თავზე". ფასადი კი პარიზული პომპიდუს მსგავსად შუშის პანელებისგან იქნება შემდგარი და სტუმრებს ფართო პანორამულ ხედებს შესთავაზებს.

შეგნობლობა 2006 წლის იანვარში უნდა დაიწყო. ფასის იარაღზე საკმაოდ მსხვილი თანხა - 35.5 მილიონი ევროა გამოსახული. პროექტი ადგილობრივი და რეგიონული და ცენტრალური მთავრობების ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

ჯერჯერობით, უცნობია რენცო პიანოს - პარიზული პომპიდუს ავტორის (რომელსაც არქიტექტურის "ცუდ ბიჭს" უწოდებენ მეტსახელად) კომენტარი. მაგრამ ცხადია, ის წინასწარ გრძობს, თუ როგორი კრიტიკა ელის შიგარუ ბენს. პიანო ხომ კლდევასთან, რიჩარდ როჯერსთან ერთად იმ საბედისწერო 1977-ში საშინლად გააკრიტიკეს. თუმცა, ვინ იცის, შეიძლება, არაფერიც არ მოხდეს და საზოგადოება პომპიდუს ფილიალს აღფრთოვანებითაც შეხედვს. ბენს ხომ პუბლიკა წინათაც ხშირად აღფრთოვანებია. 2002 წელს მან მსოფლიო არქიტექტურის ჯილდო მიიღო კატეგორიაში "მსოფლიოში საუკეთესო სახლი" - ამ პრესტიჟული პრიზით ე.წ. "შემველი სახლი" დაჯილდოვდა, ღია დაგეგმარების მქონე სახლი, რომელშიც კუბის ფორმის კოლონებით იყოფოდა ოთახები და მათი გადაადგილება - განწყობისა და საჭიროების მიხედვით, სახლის ბინადარს თვითონ შეეძლო - ანუ ყოველ ახალ ჯერზე ახალი ტიპის ინტერიერი მიიღებოდა.

ბენმა მსოფლიო არქიტექტურის პრიზი 2001 წელსაც მიიღო. მაშინ პანოვერის ექსპოსივის მუყაოსგან დამზადებული იაპონური პავილიონი "საუკეთესო ევროპული შენობა" გახდა.

მუყაოს მორიგ სენსაციას იაპონელი არქიტექტორი, დაპირებისამებრ, 2008-ში შემოგვთავაზებს.



ქეილი და ახალი: ყორე პომპიდუს ცენტრი პარიზში და პომპიდუს გეგმა ქალაქ მეცხრეში.



ბანცხალაბა ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გაგებომა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ატარებს ღია ტენდერს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

- რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 17 ავარიული საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოსათვის:
- ნორიოს აღმართი N7
- ნორიოს აღმართი N9
- ვეძათხევის ქუჩა N5
- ვეძათხევის შესახვევი N12
- თობის ქუჩა N29
- ჩერქეზიევის ქუჩა N19
- ჩერქეზიევის ქუჩა N17
- ცოტნე დადინის ქუჩა N23
- ცოტნე დადინის ქუჩა N33
- სანტ პეტერბურგის ქუჩა N1/86
- გამცემლიძის ქუჩა N29
- ტოვსტრონოვის ქუჩა N9
- ტოვსტრონოვის ქუჩა N5
- ფოთის ქუჩა N39
- ზაზაშვილის ქუჩა N7
- მელნიკოვის ქუჩა N3
- ტერენტი გრანელის ქუჩა N4

2. მიწისფლის საგანმანათლებლო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 19 აგვისტოს 10 საათიდან 23 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზომი N140ა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადგენილი ყადაღა;

გ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაციას სამუსაოების შესრულებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

გ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (ამონაწერი სამენარმო რეესტრიდან).

დ) ლიცენზიას სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე.

ბანცხალაბა ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ანგარიში N000142101 საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი ბანკის კოდი 2205011102)

აცხადებს ღია ტენდერს საავტომობილო გზის " სახელმწიფო გზა-დიდაჭარა-ლორჯომის"სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწისფლის საგარეულო ვადა- ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის ვადაში დაინტერესებულ პირებს გასაწვეი მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტში

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე დალუქული პაკეტით 2005 წლის 22 აგვისტოს 10 საათიდან 17 საათამდე ორ ვებგვერდზე შემდეგ მისამართზე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტში: ქ. ბათუმი რუსთაველის N6-ში.

დაინტერესებული პირების საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს საექსპერტო ჯგუფი, რომლის დასკვნის საფუძველზეც, სატენდერო კომისია ტენდერის პირველ ეტაპზე განსაზღვრავს პრეტენდენტებს, ხოლო შემდეგ განახორციელებს შერჩეული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ პირველადი სატენდერო წინადადების განხილვას. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

ტენდერის მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია ინვესტ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს

4.1. ცნობები.

4.1.1. იურიდიული პირებისათვის;

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადგენილი ყადაღა;

გ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები (ხელმძღვანელები) არ იყო მსჯავრდებული და არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე;

დ) ამონაწერი სამენარმო რეესტრიდან, ან ცნობას სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ;

ე) ხელის მოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელის მოწერა პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მის მიმართ არ არის დადგენილი ყადაღა და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმე;

4.1.3. როგორც ფიზიკური პირისთვის ასევე იურიდიული პირისათვის: შესყიდვამონაწილეობის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მსურველს უნდა ქონდეს შესაბამისი ლიცენზია.

ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე

პერსონალის საერთო და ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

თანამდებობა/სპეციალიზაცია	გვარი სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)
1	2	3	4

4.1.4. ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში სუბკონტრაქტორის მიერ განსაზღვრულ მინიმალურ მონაცემებს შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

შესრულებული სამუშაოს სახე	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულება
1		
2		
3		
და ა.შ.		

4.1.5 სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმები

მანქანა-მექანიზმების სახე	მოდელი და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახშირი, მოძველებული)	საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შექმნილი იქნება (ვისგან)
1				
2				
3				

4.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციის სახელს, მის მისამართს, რეგისტრაციის ადგილს; სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს.

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას.

- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მისაჯრების გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაციის შექმნის ვადა დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ და პრეტენდენტებს ცნობებათ დამატებით.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან საზღვარ კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ჯამური ღირებულების

არანაკლებ 2 პროცენტის ოდენობით.

დამატებით ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის

სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტი ქ. ბათუმი,

რუსთაველის ქ. N6.

სატენდერო კომისია

